საქართველოს რესპუბლიკა





თეიმურაზ ჭანიშვილი

გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **თეიმურაზ ჭანიშვილი**.

აკადემიკოსი თ.ჭანიშვილი დაიბადა 1924 წელს ქ.თბილისში მოსამსახურის ოჯახში. 1941 წელს დაამთავრა თბილისის მე-18 საშუალო სკოლა.

1941-1944 წწ. იგი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, სამკურნალო ფაკულტეტზე. 1945 წელს თ.ჭანიშვილმა დაიწყო მუშაობა თბილისის ვაქცინებისა და შრატების ინსტიტუტში, სადაც მან თითქმის 60 წელი იმუშავა და განვლო გზა ექიმ-ბაქტერიოლოგობიდან ინსტიტუტის დირექტორამდე.

1954 წელს მან დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1970 წელს სადოქტორო დისერტაცია, რომელიც მიეძღვნა ბაქტერიოფაგების ბიოლოგიის ფუნდამენტალურ ასპექტებს. ნაშრომმა აღიარება ჰპოვა როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ჯერ 1952-1955 წლებსა და შემდეგ 1958-1960 წლებში იგი იყო თბილისის ვაქცინებისა და შრატების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე წარმოების დარგში, ხოლო 1960-1997 წლებში დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

1997 წლიდან 2006 წლამდე აკადემიკოსი თეიმურაზ ჭანიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ.ელიავას სახ. ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა. იგი უკანასკნელ დღემდე ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას, როგორც ინსტიტუტის სამეცნიერო კონსულტანტი.

აკადემიკოსი თეიმურაზ ჭანიშვილი ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც 1948-1950 წლებში იგი მიიწვიეს ასისტენტად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის კათედრაზე.

1970 წელს მან დააფუძნა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის კათედრა, რომელსაც 1975 წლამდე თავად ხელმძღვანელობდა. 1975-2003 წწ. იგი თსუ მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის კათედრის პროფესორია, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა სტუდენტების სპეციალისტებად ჩამოყალიბებაში მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის დარგში.

1979 წელს იგი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად და აქტიურად მონაწილეობდა ბიოლოგიის განყოფილების მუშაობაში.

1993 წლიდან ბატონი თეიმურაზი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

აკადემიკოს თეიმურაზ ჭანიშვილის სამეცნიერო კვლევის ინტერესი მხოლოდ ბაქტერიოფაგების კვლევის ფუნდამენტური ასპექტებით არ შემოიფარგლებოდა, იგი წარმატებით ახორციელებდა მათ პრაქტიკულ გამოყენებას როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. აკადემიკოს თ.ჭანიშვილს გამოქვეყნებული აქვს 300-მდე პუბლიკაცია.

თ.ჭანიშვილი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“, „მაცნეს“ და ჟურნალ „მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია და ეპიდემიოლოგიის“ სარედაქციო საბჭოს წევრი.

აკადემიკოს თეიმურაზ ჭანიშვილის, საქართველოს რესპუბლიკის ღირსების ორდენის კავალერის, მრავალი უცხოური პრემიის ლაურეატის, სამშობლოზე უანგაროდ შეყვარებული ადამიანის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მოსწავლეების, კოლეგებისა და მეგობრების მეხსიერებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

გ.ელიავას სახ.ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი